საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოთენას მღვიმე

მოთენას მღვიმის ბუნების ძეგლი

მოთენას მღვიმე, კარსტული მღვიმე მარტვილის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ტაბაკელის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. აბაშის ხეობის მარცხ. მხარეს, სოფ. პირველი ბალდის მიდამოებში, ზ. დ. 570 *მ*-ზე. გამომუშავებულია ეოცენურ შრეებრივ კირქვებში. ორსართულიანი მღვიმის ჯამური სიგრძეა 78 *მ*, ჰავა – დინამიკური. მღვიმეში მრავლადაა სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ტრავერტინის კასკადები, ფარდები, ასევე დიდი ზომის ლოდები, გამოფიტვის ადგილობრივი მასალა. აქვე ბინადრობენ ღამურები, ობობები, მწერები და სხვ. მღვიმიდან გამოედინება წყლის ნაკადი, რ-იც აჩენს კალციტის ქერქით გარშემოზღუდულ ტბებს, შემდეგ კი უერთდება მდ. აბაშას. მ.მ-ის წინა ნაწილი ჩამონგრეულია. აქვე ამოყვანილია ქვითკირის კედელი სათოფურებით, რ-საც შუა საუკუნეებში ციხესიმაგრედ იყენებდნენ. იგი ადვილი მისადგომია და წარმოადგენს ბუნების ძეგლს.